

## კომპლექსური დავალება სოლო ტექსონომიით თემაზე, ფარდობა, პროპორცია, პროცენტი

სწავლება-სწავლის პროცესში კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის შემოწმების კარგ ინსტრუმენტს. ასევე, გამოუმუშავებს მოსწავლეებს თემის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო უნარ-ჩვევებს და აძლევს მათ ამ მიმართულებით მდგრად განათლებას.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა მასწავლებელს თავის საგანში ევალება სემესტრში სულ მცირე ერთი კომპლექსური დავალების ჩატარება თითოეულ კლასში. დღესდღეობით, არსებობს კომპლექსური დავალებების ბანკი, რაც საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ ჩვენთვის სასურველი კომპლექსური დავალება. თუმცა, მოგეხსენებათ, კლასი წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს. კლასზე საუბრისას, მის დახასიათებასა და მისი დონის განსაზღვრისას, ბევრი ნიუანსის გათვალისწინება გვიწევს. ამიტომ, რამდენი განსხვავებული კლასიც არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ იმდენი განსხვავებული შინაარსის, დონის და გემოვნების კომპლექსური დავალება შეიძლება შეიქმნას.

კომპლექსური დავალების კლასისათვის წარდგენა ხდება შესაბამისი თემის, საკითხის/ საკითხების შესწავლის დაწყებისთანავე. კომპლექსურმა დავალებამ უნდა მოახდინოს მოსწავლეთა დაინტერესება, გამოწვევა/პროვოცირება, რომ შემართებით, სიღრმისეულად და მონდომებით დაიწყონ ახალი საკითხების შესწავლა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. კომპლექსური დავალების შინაარსზე და კლასის დონესთან შესაბამისობაზე (სირთულის მხრივ), დამოკიდებულია მოსწავლეთა მოტივაცია და ის, თუ როგორ გაართმევენ თავს შეთავაზებულ დავალებას, რამდენად იქნება ჩვენს მიერ მიწოდებული ცოდნა მოსწავლეთათვის მდგრადი განათლების მიღების საწინდარი.

ყველა ზემოთ მოყვანილი მიზეზების გათვალისწინებით და ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრული საფეხურის მიზნებიდან გამომდინარე, კომპლექსურ დავალებას დიდი სიფრთხილით ვარჩევ ხოლმე. ბოლო ჯერზე კი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი კლასისათვის უნივერსალური კომპლექსური დავალების შერჩევა კომპლექსური დავალებების ბანკის დახმარებით ვერ შევძელი, გადავწყვიტე თავად შემედგინა ჩემს კლასზე მორგებული კომპლექსური დავალება.

სიამოვნებით გიზიარებთ ჩემ მიერ შექმნილ გრძელვადიან სასწავლო რესურსს - კომპლექსური დავალების მატრიცას საკითხებზე, ფარდობა, პროპორცია, პროცენტი (VII კლასი). ასევე, შემოგთავაზებთ აღნიშნული კომპლექსური დავალების შესაბამის, მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს,

SOLO ტექსონიმიას. რესურსი იხილეთ თანდართული ჰიპერბმულების საშუალებით.

რესურსი ბმულზე ➡ [კომპლექსური დავალების მატრიცა SOLO ტექსონიმიით.](#)

რესურსი ბმულზე ➡ [კომპლექსური დავალების ბარათი მოსწავლეთათვის.](#)

*სსიპ ქ. თბილისის N117 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი,*

*ნაზი კობახიძე.*

*2023 ს.წ.*